ეროვნული ბიბლიოთეკა



მოხალისეთა ცნობის ფურცელი

# ლეგიონერი

№ 58 გამოდის კვირაში სამჯერ 9 ივლისი 1944 წ.

# გერმანიის უმაღლეს სარდლობის ცნობები

### გადმოსხმის მთელს ფრონტზე ჩვენი ნაწილები აწარმოებენ კონტრ - იერიშებს

### კოველსა და დნესტრის შუა სასტიკი ბრძოლა განახლდა

### მტრის ფლოტმა გაიღო დიდი ზარალი

**ფიურერის მთავარი ბანაკი.**

6 ივლისი.

გერმანიის უმაღლესი სარდლობა იუწყება:

კანის ჩრდილო - დასავლეთით, წინა დღეებში გაღებული მსხვერპლის გამო, მტერმა შესწყვიტა იერიშების მოტანა. გუშინ, კარენტანის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში ამერიკული ნაწილები მთელი დღის განმავლობაში, არტილერიისა და ტანკთა ძლიერი შენაერთების დახმარებით, აწარმოებდენ შემოტევას. გააფთრებული ბრძოლების დროს ჩვენმა წინ წაწეულმა წერტებმა უკან დაიხიეს და დიდ ერთეულებს შეუერთდენ. ყველგან, სადაც კი მტერმა კონტაკტი დაამყარა ჩვენს ძირითად ძალებთან, ჩვენი ერთეულები კონტრ - იერიშზე გადავიდენ. ბრძოლები გრძელდება. სამხრეთ საფრანგეთში განადგურებული იქმნა ინგლისელ პარაშუტელთა ერთი რაზმი, რომელთაც ჰქონდათ საბოტაჟის მოხდენის სპეციალური დავალება. ღამით ჩვენი ავიაცია წარმატებით თავს დაესხა მტრის ჯარის მომავალ კოლონებს. 5 ივლისს, ღამით, ჩვენი მძიმე ბომბდამშენთა თავდასხმის დროს მტრის გემთა თავშეყრის ადგილებზე, გუშინდელი ჩვენი ცნობების გარდა ჩაძირულია კიდევ სატრანსპორტო გემი, რომლის წყელწყვა უდრის 7.000 ბრუტოტონას. მძიმედ დაზიანებული იქმნა ერთი კონტრ - ნაღმოსანი და ერთ გემსაც ცეცხლი წაეკიდა. დაკავებულ ტერიტორიაზე მტერმა დაჰკარგა 57 თვითმფრინავი, აქედან 44 ოთხმოტორიანი ბომბდამშენი. ჰოლანდიის და საფრანგეთის ნაპირებთან მტირს ძალებთან მრავალ შეტაკებების დროს ჩვენმა სადარაჯო კატერებმა ჩასძირეს ინგლისელთა სამი ჩქარმავალი კატერი, მძიმედ დაზიანებულ იქმნა მტრის ერთი კონტრ - ნაღმოსანი და სამი ჩქარმავალი კატერი. ამ ბრძოლების დროს ჩამოგდებული იქმნა მტრის 13 ბომბდამშენი. ჩვენ დავკარგეთ 5 5ჩქარმავალი კატერი. გადმოსხმის რაიონში ჩაძირული იქმნა მტრის ორი, სავსებით დატვირთული სატრანსპორტო გემი, რომელთა წყალწყვა უდრის 15.000 ბრუტოტონას, ერთი კონტრ - ნაღმოსანი, ერთი იალქნიანი გემი და მეორე სატრანსპორტო გემი მძიმედ დაზიანებული იქმნა. მცირე დროის შეწყვეტის შემდეგ, რეპრესიის სახით ლონდონი ისევ „V—1“-ის ცეცხლის ქვეშაა. იტალიაში, აღმოსავლეთის და დასავლეთის სანაპირო უბნებში სწარმოებს გააფთრებული ბრძოლა. სიენნას ჩრდილოეთით ჩვენი ფრონტი უკან იქმნა დაწეული რამოდენიმე კილომეტრით. ღენერალ - ლეიტენანტის გოპპეს მეთაურობით, მსროლელთა მე-278 დივიზიამ განსაკუთრებითი მამაცობით მოიგერია აღმატებული მტრის იერიშები და მათ დიდი ზარალი მიაყენა. ჩვენი ავიაცია წარმატებით თავს დაესხა ადრიატიკის ნაპირებზე მდებარე მტრის სამხედრო მასალის საწყობებს. ქ. ბარის მიდამოებში იტალიანურ ტორპედოსმტყორცნელებმა მძიმედ დააზიანეს მტრის ორი სავაჭრო გემი.

აღმოსავლეთის ფრონტზე, ზედა დნესტრისა და კოველის შუა განახლდა აქტიური მოქმედება. **ბარანოვიჩსა** და **მოლოდეჩნოს** შუა წინადღეების მსგავსად გააფთრებული ბრძოლები სწარმოებენ. გერმანულმა და რუმინელმა ერთეულებმა მოიგერიეს ბოლშევიკების ყველა იერიშები. მოლოდეჩნოს დასავლეთით მტერმა დიდი ზარალი გაიღო; მათი კავალერია და ტანკები დამარცხდენ. გერმანული ავიაციის თავდასხმებმა გაჰფანტეს მტრის ჯარის კოლონები და გაანადგურეს მრავალი ქვემეხები. ღამით, ჩვენი ავიაცია წარმატებით თავს დაესხა კრიჩევის სადგურს; დაბომბილი იქმნა წარმატებით აგრეთვე მინსკის ჰაეროდრომი. ინგლისის ცალკეულ ავიონებმა დაბომბეს გასულ ღამეს რეინ - ვესტფალიის ოლქის დასახლებული ადგილები.

## გერმანიის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლად, ღენერალ ფონ რუნდშტეტის ნაცვლად დაინიშნა ღენერალი ფონ კლუგე

ფიურერის მთავარსადგომმა ბრძანება გამოსცა, რომლის მიხედვით ღენერალი ფელდმარშალი ფონ კლუგე ინიშნება დასავლეთში მდგომ გერმანიის ყველა შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლად, ღენერალ ფელდმარშალ ფონ რუნდშტედტის ნაცვლად, რომელმაც ავადმყოფობის გამო ვერ შესძლო თავის მოვალეობის შესრულება. ფიურერმა მეტად თბილი წერილით მადლობა გამოუცხადა ფელდმარშალს ფონ რუნდშტედს. რომელმაც მეტად რთულ პირობებში, გამოიჩინა სარდლის მაღალი ნიჭი და თვისება. და ფიურერმა აგრეთვე ამავე წერილით მას აცნობა, მომავალში მას დაეკისრება განსაკუთრებული მისიათა შესრულება.

## „V — 1“ აღმოსავლეთ ინგლისზე

პარასკევს, მთელი დღის განმავლობაში, აღმოსავლეთ ინგლისის ობიექტებზე ცვიოდა „V—1“. მფრინავ ბომბთა რიცხვი თანდათან იზრდება. ამ ბომბთა გამსროლი ბაზები, ისე კარგად არიან დაფარული, რომ მტრის მიერ ყოველ ღონის ძიებათა მიუხედავად ვერ იქმნა აღმოჩენილი. გერმანულ სამხედრო წრეებში ამბობენ, რომ თვითეული ბომბი შეიცავს ათას კილომდე ამფეთქებელ მასალას, რომელთა სისწრაფე უდრის 600 კილომეტრს საათში.

## მოსკოვი მოითხოვს, რომ ამერიკამ ნამდვილი ომი აწარმოვოს ფინეთის წინაამდეგ

სტოკოლმის ცნობით, რუსეთი არ კმაყოფილდება მით, რომ ამერიკამ დიპლომატიურ კავშირი გასწყვიტა ფინეთთან და ახლა მოითხოვენ, რომ შეერთებულმა შტატებმა ომი გამოუცხადონ მას. მათი აზრით, სრულებით არაა საკმარისი, რომ „ფინეთი გამოცხადებული იქმნას მტრის ტერიტორიად“, არამედ საჭიროა, ამერიკის ჯარები შეტევაზე გადავიდენ და თავიანთი მოქმედება დაუკავშირონ ფინეთის წინაამდეგ მომქმედ საბჭოთა ჯარებს.

# საქართველოს გაერთიანების ისტორია

12

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში თითქოს საქართველომ გამოიღვიძა და კიდეც მოღონიერდა, მაგრამ რამოდენიმე საუკუნის დაძაბუნებული არსებობის შედეგებმა სწორედ ახლა იჩინეს თავი.

როგორც ცალკე ორგანიზმის მუშაობის დროს მიღებული წყლულები დასვენების დროს ხდებიან საგრძნობნი, ასევე ემართება სოციალურ ორგანიზმს.

თუმცა ირაკლიმ, თავისი მამაცი ხმლით სძლია გარეშე მტერს და ერს შეუქმნა ისეთი პირობები, რომ შეიძლებოდა გვეფიქრა მის ახალ აღორძინებაზედ, მაგრამ ეს არ მოხდა.

და თუ გარეშე პირობები თამაშობდენ ამაში მაინც ერთგვარ როლს, ახლა, შინაგანი უფრო მნიშვნელოვანი შეიქმნა.

ირაკლიმ ვერ შექმნა საბოლოოდ ერთი ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება თვით ქართლ - კახეთის სამეფოშიც, რომელიც მას ეკუთვნოდა. ჯერ მთელი ახალგაზრდობა ბრძოლებს მოანდომა. შიგნით დიდ ხანს, ქართლისა და კახეთის ადგილობრივი ადმინისტრაციები სრულიად დამოუკიდებელი იყვენ. ე. ი. ფაქტიურად შინაურ საქმეებში ქართლი და კახეთი დარჩენ განცალკევებული. ხოლო როცა ირაკლიმ სცადა ერთი ცენტრალისტური რეჟიმის დამყარება. უკვე გვიანი იყო. თვითონ მოხუცდა და ისეთი დიდი გავლენა აღარ ჰქონდა. ამიტომ მისი ხელისუფლება ძალზედ იყო შესუსტებული. ფეოდალებმა კვლავ აიშვეს თავი და ისინი თითქმის დამოუკიდებლად განაგებდენ თავიანთ საბრძანებლებს. ექ. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველეებში“ გამოქვეყნებულია ერთი მეტად დამახასიათებელი დოკუმენტი, სახელად „ერთი გლეხი კაცის ისტორია“. ამ დოკუმენტში მოთხრობილია ერთი გლეხ კაცის თავგადასავალი. მის საქმეში არა ერთხელ ჩაერია მეფე, მაგრამ ის იყო უძლური და მემამულემ (მგონია ციციშვილმა) ბოლომდე თავისი გაიტანა და მეფე დაამარცხა ამ სრულიად კერძო და პატარა შემთხვევაშიც კი. აქედან ირკვევა თუ მეფის ხელისუფლება, როგორ იყო დაცემული. ცხადია მისი ამ უილაჯობის ნიადაგზე შეუძლებელი იყო რაიმე მთლიანობის მოლოდინი.

ხოლო შემდეგ, მეფე ერეკლემ სცადა ზოგი ერთი რეფორმები, როგორც მუდმივი ჯარის შექმნა, რაც ფინანსიური უსახსრობის გამო ვერ მოხერხდა. მან არა ერთხელ მოინდომა სესხის მიღება ევროპის სახელმწიფოებისაგან, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა. ფინანსიურად ამ დროს საქართველო ისე იყო დაცემული, რომ მეფე ირაკლი ხშირად იძულებული იყო სომხის კერძო პირებისაგან ესესხა სულ მცირე თანხები სახელმწიფოს საჭიროებისათვის. ამითვე, ცხადია, ამ ელემენტებს გზა ეხსნებოდათ, საქართველოს შინაურ ცხოვრებაში ჩარეულიყვენ.

ადმინისტრატიულმა რეფორმამაც ვერაფერი მისცა. თავისი მრავალრიცხოვანი შვილების დანიშვნამ, სხვა და სხვა თემების მმართველებად კიდევ მეტი ანარქია შექმნა. მან გამოიწვია ჯერ შური თავადებისადმი და მერე ძმებს შორის მეტოქეობა. რაც გამოჩნდა იმ მწარე დღეებში, როცა აღა-მაჰმად - ხანი შემოესია ტფილისს. მაშინ, როდესაც ირაკლის ერთ დაძახებაზედ შეეძლო 30 — 40 ათასი კაცის თავ მოყრა, მისთვის ამ საბედისწერო ბრძოლის დროს ხელში შერჩა მხოლოდ 5 ათასი კაცი. და თუ არ ვსცდები, ამ ბრძოლაში მისი შვილებიდან მხოლოდ ორი იღებდა მონაწილეობას, ორიც შვილიშვილი. სხვები თავიანთ მამულებში ისხდენ და მათ დაცვაზედ ზრუნავდენ.

ამგვარად საქართველოს ფინანსიური მდგომარეობა იყო უმწეო, ადმინისტრატიულად, უძლური, ნივთიერად დაცემული, მეფის ხელისუფლება ყოველგვარ ავტორიტეტს მოკლებული და სახელმწიფოებრიობა ერთნაირად სულს ღაფავდა. ხოლო აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ და ტფილისის აოხრებამ ხომ ირაკლი საბოლოოდ წელში მოსტეხა. ამიტომ როგორც კი გიორგი XII ავიდა ტახტზედ, მიუხედავად რუსეთთან ურთიერთობის მრავალი უიმედო ცდებისა; მიუხედავად მათ შორის უკვე მოხდარი სასტიკი უთანხმოებისა აღა - მაჰმად - ხანის შემოსევის დროს, მან კვლავ მიმართა რუსეთს, ძველი ხელშეკრულების განახლებისა და რუსეთის მფარველობაში შესვლისათვის.

ამგვარად შინაგანი მდგომარეობა ისე განვითარდა რომ ის ქართულ სახელმწიფოებრიობას მიაქანებდა სრული დამხობისაკენ.

არც გარეშე პირობები ყოფილან ამ დროს საიმედონი. ამ ეპოქაში ოსმალეთი საკმარისად იყო დასუსტებული და მისი მრავალი საფაშოები სარგებლობდენ ერთგვარი ავტონომიით, ახალციხის საფაშოც, სჩანს ხშირად იხედებოდა საქართველოსკენ.

ასევე აღა - მაჰმად - ხანის შემდეგ სპარსეთიც ოდნავ ანარქიამ მოიცვა, მაგრამ მათი პრეტენზია მაინც დიდი იყო და საქართველოს სხვა და სხვა გზებით ებრძოდენ, უსევდენ თვით კავკასიაში ჩამოსახლებულ თათრის ტომის ხალხებს, ლეკებს და სხ. როგორც ვსთქვით ამ დროს საქართველოს შინაურ ცხოვრებაში ფართოდ ერეოდენ სომხის ელემენტები და ყველა ერთად ძირს უთხრიდა ჩვენს დამოუკიდებლობას. ამ გარემოებათა მსხვერპლია ირაკლის ერთად ერთი იმედი ლევან ბატონიშვილი. მაგრამ ეს გარეშე ფაქტორები ამ დროს შედარებით სუსტნი იყვენ და ჩვენ გვგონია რომ გიორგი XII-ის რუსოფილური პოლიტიკა უფრო შინაგანი სისუსტით აიხსნება. სჩანს ამ დროს ისეთებიც ყოფილან, რომელნიც უფრო შორეული პერსპექტივებით ხსნიდენ ჩვენი რუსეთის მფარველობაში შესვლის აუცილებლობას. და აი, გარეშე მიზეზთაგან სწორედ რუსეთის ფაქტორმა ითამაშა ამ დროს გადამჭრელი როლი.

ამ დროს რუსეთში უკვე მომწიფებული იყო კავკასიის დაპყრობის პოლიტიკის საკითხი და რუსები უკვე დიდ მუშაობას აწარმოებდენ, ჩრდილოეთ კავკასიაში. აგრეთვე სპარსეთის მიმართულებით, მათ თითქმის მთელი სომხის ხალხის სიმპატიები მოპოებული ჰქონდათ. საჭირო იყო აქაც აღმოსავლეთ საქართველოს დაკავება, რათა ადვილად გაელაშქრათ სპარსეთზედ და დასავლეთ საქართველო კი მათ ფართო გზას უხსნიდა ამ მხრიდან სტამბოლისაკენ.

რასაკვირველია, ამ რუსულ პლანს, რომელიც იყო გადაუდებელი და რუსეთს ის დღეს იქნებოდა თუ ხვალ უნდა განეხორციელებინათ, ვერავითარი საქართველოს შინაური მდგომარეობა ვერ შეაჩერებდა.

მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო. როგორც აღვნიშნეთ შიგნით საქართველოშიც მომწიფდა ნიადაგი რუსეთისაკენ მისწრაფებისა. ბუნდოვანი წინა საუკუნეებში, დღეს ეს რეალური პოლიტიკის საგნად ხდება. შეიქმნება გასაკუთრებული პარტია, რომელიც მეთაურობს ამ მიმართულებას. ჩვენ გვჯერა, რომ ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ არსებობდა კერძო ამბიციებისა და ჩინმედლების საკითხი. ამ დროს საკითხი იდგა წმიდა იდეურ ნიადაგზე. ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს შეგნებულად სწამდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ბედი იყო განწირულ, და რომ ხსნა იყო ერთად ერთი რუსეთის მფარველობაში შესვლა. აგრეთვე უნდა ვიფიქროთ, რომ იმ დროინდელი წრეები ნათლად ხედავდენ, რომ რუსეთი მაინც მოდიოდა კავკასიისაკენ. ნიკოლოზ ბარათაშვილმა სამართლიანად ათქმევინა იმ დროინდელ ქართველს „რომ დღეს იქნება თუ ხვალ ქართლსა დაიპყრობს რუსთ ხელმწიფობაო“. ეს დებულება მაშინ ზოგისთვის ნათელი და ისტორიის მიერ დამტკიცებული, დღესაც ზოგიერთებისათვის გამოუცნობი დარჩა, როდესაც ფიქრობენ, თითქოს საქართველოს მეფემ და მოწინავე წრეებმა თავისით გადასცეს საქართველო რუსეთს.

აღნიშნული მდგომარეობა იყო ერთი დიდი არგუმენტი რუსული მიმართულების ხელ-

# საუბარი ლეგიონერებთან

## ძველი ტფილისის ცხოვრება და ჩვეულებანი:

### VII

### ზ. ამქრობა

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, ტფილისში დიდათ იყო განვითარებული ხელოსნობა. ხელოსნებს ჰქონდათ საკუთარი პროფესიონალური კავშირები, რომელსაც „ამქრობა" ეწოდებოდა. ამქარი სპარსული სიტყვაა, რომელიც ქართულმა ენამ შეითვისა, და რომელიც ნიშნავს თანამოსაქმეს. ამქრობა საინტერესო მოვლენაა ტფილისელთა ძველ ცხოვრებაში, რადგან მასთან დაკავშირებულია ძველი ტფილისის დამახასიათებელი წესები და ჩვეულებანი.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ამქრობის შემოღება ჩვენში დაკავშირებულია არაბების ბატონობასთან საქართველოში, მერვე საუკუნეში. როგორი იყო ამქრობა და რას წარმოადგენდა ის? ამ ძველის ძველ ტფილისურ ორგანიზაციას დაწერილი წესდება არ ჰქონია. საუკუნოების განმავლობაში

---

ში. მაგრამ ამ პარტიას დაუპირისპირდა მძლავრად მეორე ანტი - რუსული მიმართულება, რომელსაც მეთაურობდა თვით დარეჯან დედოფალი და სარდლობდა ალექსანდრე ბატონიშვილი. ამ ბრძოლაში, როგორც თავის ალაგას შევეხებით, ადგილი ჰქონდა დინასტიური ხასიათის ანგარიშებსაც, მაგრამ ის ფაქტი რომ ამ საქმის იდეური ხელმძღვანელი იყო დიდი სოლომონ ლეონიძე, მას აძლევს უდავო პოლიტიკურ ღირებულობას.

ასეთ პირობებში იყო საქართველო და აქ ერთობის საკითხი კვლავ გამოირიცხა. პირიქით ბრძოლა გაჩნდა მეტად ძლიერი თვით სამეფო ოჯახში, და ამ გარემოებამაც ოდნავ მაინც დააჩქარა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ალსრულება.

ამ დროს შემოდგა ფეხი რუსეთმა საქართველოში და მისი ანექსია მოახდინა.

ალ. მანველიშვილი

შეიქმნა მტკიცე წესი და ჩვეულება ამქრობის წესდებისა. რომელსაც ყოველი წევრი გაუტეხელად ასრულებდა და ემორჩილებოდა.

ამქრობა იყო ნამდვილი ოჯახი, სადაც ყოველი ხელოსანი განურჩევლად მისი ეროვნებისა და სოციალური მდგომარეობისა, თუ ის ხელოსნობას ეწეოდა, უფლება ქონდა გამხდარიყო წევრი ამ დიდი ოჯახისა. ამქარს ყავდა თავისი გამგეობა, რომელსაც განაგებდა თავმჯდომარე ანუ უსტაბაში. უსტაბაშს ირჩევდენ კენჭის ყრით, რომელიც უნდა ყოფილიყო ავტორიტეტის მქონე და უნარიანი.

ხელოსანთა ამქრებს ჰქონდა საკუთარი დროშები, რომელზედაც გამოხატული იყო თვითეულ ხელობის სიმბოლო, როგორც მაგალითად: ილია წინასწარმეტყველის ღერბი, ხარაზების დროშაზე. ყურძნის მტევანი — სირაჯების დროშაზე, ნოეს კიდობანი — ხუროებისაზე, მამა - აბრამის ბატკანი — ყასბებისაზე და სხ.

ამქრის მოვალეობაში შედიოდა გაკოტრებული წევრის ფეხზე წამოყენება, დახმარება, გარდაცვლილ წევრის თუ ღარიბი იყო, დასაფლავება და მისი ქვრივ - ობლების მოვლა, პატრონობა. პროფესიონალური ინტერესების დაცვა. მაგალითად: არც ერთი წევრი ამქრისა, სხვის დაწყებულ საქმეს არ დაასრულებდა, თუ მუშტარს ამა თუ იმ მოსაზრებით ხელოსანის გამოცვლა უნდოდა. ამისათვის სპეციალური ნებართვა უნდა მიეღო უსტაბაშისაგან. ერთი სიტყვით, ეს დიდი ოჯახი რომელიც ორგანიზაციულ დარაზმულებას წარმოადგენდა, იცავდა არა მხოლოდ თავის ინტერესებს, არამედ ხშირად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ტფილისელთა საერთო ცხოვრებაში. ქართველ მეფეების დროს ეს იყო მუდმივი საომარი რაზმი ტფილისში დაბანაკებული, რომელიც იარაღით ხელში იგერიებდა შემოსეულ მტერს.

რუსეთის გაბატონების შემდეგ ამქრობის მდგომარეობა შეიცვალა. ისე როგორც ყოველი ქართული სახის მატარებელი ორგანო. რუსეთის ხელისუფლებამ ამქრობაში დაინახა დარაზმული ტფილისელი მშრომელნი, რომელნიც მუდამ წინააღმდეგობას უწევდენ ყოველგვარ რუსულს ძალდატანებას.

1865 წელს ტფილისელმა ამქრებმა რუსულ ხელისუფლების წინაალმდეგ შეიარაღებული გამოსვლა მოაწყეს. ათი-ათასამდე ხელოსანი ქუჩაში გამოვიდა შეებრძოლა რუსულ ჯარს. რა თქმა უნდა რუსეთმა სისხლში ჩაახრჩო ეს ბრძოლა ამქრებისა ისე როგორც სხვა მრავალი ქართული აჯანყებანი.

თავისუფალი საქართველო კვლავ აღადგენს ამქრობას ახალი ეკონომიური და სოციალური წესითა და შინაარსით, ისე როგორც ხდება დღეს ყველგან.

გ. ბარდაველიძე.

## საზღვაო ბრძოლების შედეგი შემოჭრის ერთი თვის შემდეგ

ინგლის - ამერიკელების ერთი თვის შემოჭრის შემდეგ, გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა ახალი რეკორდი უჩვენეს მტრის საზღვაო საქარავნო - სატრანსპორტო გემებთან ბრძოლაში, რომელიც აწვდიდა მტრის შეიარაღებულ ძალას, სამხედრო მასალას და პროდუქტებს.

ივნისის თვეში ჩაძირული იქმნა მტრის 551 გემი 312.000 ტოუტონნა.

საერთო ჯამი მტრის დანაკარგისა 1944 წ. იანვრიდგან გაიზარდა 1.076.305 ბრუტოტონამდე. ექვს თვეში დაზიანებულია მტრის 229 სავაჭრო გემი 1.340.000 ბრტ. მტერმა დაჰკარგა დიდი რაოდენობის ნაღმოსნები. შემოჭრის პირველ დღეებიდგან ჩაძირულია 25 მძიმე ნაღმოსანი, რაც საგრძნობლად მეტია წინა თვეებში ჩაძირულ მძიმე ნაღმოსნებთან. გადმოსხმის შემდეგ ჩაძირულია მტრის 168 მინის მტყორცნელი.

ექვსი თვის განმავლობაში ჩამოყრილია გერმანიის საჰაერო თავდაცვის მიერ, გერმანიაში და დასავლეთ ოლქებში 8.164 თვითმფრინავი აქედგან 6,407 ოთხმოტორიანი მძიმე ბომბდამშენი. მაღალ ციფრებს მიაღწია ინგლის - ამერიკელთა საჰაერო დანაკარგმა შემოჭრის შემდეგ, ინგლის - ამერიკელებმა ამ ხნის განმავლობაში დაკარგეს 2.007 თვითმფრინავი.



ძველი ტფილისის ამქრის მედროშენი

# გერმანიის უმაღლეს სარდლობის ცნობები

## ბაიოსა და კანს შუა ინგლისელთა დიდი შემოტევები მოგერიებულია

## კოტანტენის სამხრეთით ამერიკელები თავიანთი პოზიციებიდან გადარეკილი იქმნენ

## აღმოსავლეთის ფრონტის შუა სექტორში სწარმოებს მძიმე თავდაცვითი ბ რ ძ ო ლ ა

**ფიურერის მთავარი ბანაკი.**

5 ივლისი.

გერმანიის ჯარების უმაღლესი სარდლობა იუწყება:

გუშინ დილით, ნორმანდიაში ბაიო - კანის გზის ორთავე მხარეზე საარტილერიო ცეცხლის მზადების შ ე მ დ ე გ, მ ტ ე რ ი, ქვეითა ჯარების და ტანკთა ძლიერი შენაერთების დახმარებით, გადმოვიდა შეტევაზე. მკაცრი ბრძოლების შემდეგ მტერი დიდი ზარალით უკუგდებული იქმნა ყველგან. აგრეთვე, **ტილის** სამხრეთ დასავლეთით, მტრის რამოდენიმე ადგილას წინ წამოწევის ცდები ჩვენი არტილერიის ცეცხლით იქმნა შეჩერებული. გუშინ მთელი დღის განმავლობაში ხიდის თავის დასავლეთის ფრონტზე სწარმოებდენ მძიმე თავდაცვითი ბრძოლები. მტრის ყველა იერიშები მოგერიებული იქმნენ და სადაც კი წინა დღით მათ შესძლეს ჩვენ ხაზების უკან შემოჭრა, ისინი ჩვენი კონტრიერიშებით გადარეკილი იქმნენ თავიანთ წინა დღის პოზიციებისაკენ. ნორმანდიის ნაპირებთან ჩვენმა მძიმე თავდამსხმელებმა ღამით დაბომბეს მტრის გემთა თავშეყრის ადგილები. მათ ჩასძირეს ერთი კონტრ - ნაღმოსანი და ერთი სავაჭრო გემი, რომლის წყალწყვა 5.000 ბრუტოტონს უდრის. ერთი კრეისერი მძიმედ იქმნა დაზიანებული. გუშინ ნორმანდიის ხიდის თავზე და დასავლეთის დაკავებულ ტერიტორიებზე ჩამოგდებული იქმნა მტრის 62 თვითმფრინავი, აქედან 45 ოთხმოტორიანი ბომბდამშენია. საფრანგეთის ცენტრში, ინგლისის 43 ჯარის კაცისაგან შემდგარი პარაშუტელთა რაზმი და 108 ფრანგი ტერორისტი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ საბოტაჟის მოხდენა, მთლიანად შეპყრობილნი და დახვრეტილნი იქმნენ.

გუშინ, ბრძოლათა სიმძიმე იტალიაში მდებარეობდა სიენას ჩრდილოეთით და არეზოს სამხრეთით მდებარე რაიონებში. მძიმე და ხანგრძლივად გამოურკვეველი ბრძოლების შემდეგ, მტერმა რამოდენიმე კილომეტრით წინ წამოიწია ჩრდილოეთისაკენ. ჩვენი ფრონტის გარღვევის მიზნით მის მიერ წარმოებული ცდები უშედეგოდ დარჩენ იტალიის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაპირებზე მტრის შემომტევი ძალები ჩვენმა გრენადერებმა ტანკთა დახმარებით გაანადგურეს.

აღმოსავლეთ ფრონტზე ადგილობრივ ფრონტის სივრცის შემოკლების მიზნით, ქ. კოველი, მტრის მოწოლის გარეშე, დაცლილი იქმნა.

ფრონტის ცენტრალურ სექტორში გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს ბარანოვიჩსა და მოლოდეცნოს შუა მდებარე ტბიანი რაიონის კუთვნილებისათვის. ბარანოვიჩის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით საბჭოების შემოტევები მძიმე ბრძოლების შემდეგ, მოგერიებულნი იქმნენ. მინსკის სამხრეთით ჩვენი ერთეულები ბრძოლით უკან იხევენ. ქალაქის ჩრდილო - დასავლეთით ბოლშევიკების მძაფრი იერიშები მოგერიებულნი იქმნენ. ამ რაიონში წარმოებული ბრძოლების დროს, ღენერალ ფონ ზაუკენის მეთაურობით ჯავშნიანთა ერთმა ჯგუფმა 27 ივნისიდან 3 ივლისამდე გაანადგურა მტრის 232 ტანკი. ვილნოს ჩრდილო - აღმოსავლეთით გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობენ. პოლოტცკის დასავლეთით და ჩრდილოეთით უკუგდებული იქმნა ბოლშევიკების მძლავრი იერიშები, რომლის დროს მტერმა დიდი ზარალი ნახა. ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი ავიაცია მეტად აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ჩვენმა ავიაციამ ქ. მინსკზე აწარმოვა წარმატებით კონცენტრიული თავდასხმა. საბჭოთა ავიაციამ კირკენესზე თავდასხმის დროს დაჰკარგა 26 თვითმფრინავი. რუმინეთზე თავდასხმის დროს ამერიკელებმა დაჰკარგეს 5 ოთხმოტორიანი ბომბდამშენი.

# მოკლე ცნობები

## იაპონიის ახალი შეტევები

იაპონიის საიმპერატორო მთავარი შტაბი იტყობინება, რომ ჩინეთის ფრონტზე დაიწყო იაპონიის ახალი დიდი შეტევები.

იაპონიის შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს სწრაფი წინსვლა კანტონის რკინის გზის მიმართულებით, კანტონსა და ხანკოუს შუა.

---

## დე გოლი და საბჭოები

ინგლისის ფარულ პოლიციამ, „ინტელიჯანს სერვისმა“ ხელთ იგდო დე გოლსა და საბჭოთა მთავრობის შორის დადებული ფარული ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც ეხება ჩრდილო აფრიკის საკითხს. ამ ხელშეკრულობაში მრავალ საკითხთა შორის, გათვალისწინებულია კომუნისტების მონაწილეობა ჩრდილო აფრიკის ადმინისტრაციაში და ის შეიცავს ალჟირის კომიტეტის მიერ თავის თავზე აღებულ ვალდებულებებს მისი საგარეო პოლიტიკის დარგში. ამ ცნობის მიღებამ ლონდონის მთავრობაში გამოიწვია სასტიკი აღელვება და მან მაშინვე მიიღო საწინააღმდეგო ზომები. ეხლა ინგლისი თავის მხრივ მოითხოვს დე გოლისაგან შესაფერ გარანტიებს. დე გოლი ცდილობს დროის მოგებას. ამ მიზნით მან ლონდონში გაგზავნა ყოფილი ღენერალი ვენინგი, რომელიც, როგორც ამბობენ, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ედინის ნდობით სარგებლობს.

## ფინეთის ცნობები

ქარელის ყელთან, ვიბორგის ნავთსადგურის და კარასალთან მტერმა სცადა, გაერღვია ჩვენი ხაზები. განსაკუთრებული დიდი შემოტევა სცადა იხანტალიის სამხრეთ დასავლეთით. ერთ - ერთ ადგილზე მტერმა შესძლო ჩვენს პოზიციებზე შემოჭრა, მაგრამ ჩვენი ძალების კონტრ - შეტევის შემდეგ ისინი გადარეკილ იქმნენ. სამი ტანკი განადგურებულია.

იხანტალის აღმოსავლეთით ო რ ი ბოლშევიკური ბატალიონი შეეცადა გადმოელახა წყლის სიმაგრეები, მაგრამ ჩვენმა ნაწილებმა ისინი უკუაქციეს მათვის დიდი დანაკლისით. **არერპანში** ჩვენმა ნაწილებმა მტრის შემოტევა ორჯერ უკუაქციეს.

ვუოკსენის მახლობლად გრძელდება არტილერიის ცეცხლი. უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში მტერმა დაკარგა 24 ტანკი, აქედან 10 ტანკი განადგურებული იქმნა ავიაციის საშუალებით.

აუნუსის რაიონში გრძელდება გააფთრებული ბრძოლები, განსაკუთრებით რაიაკონტის და სალმას მიმართულებით, სადაც მტერი მთელი ღამის განმავლობაში გვიტევდა ერთ ერთ ადგილას, მტერმა შესძლო ჩვენი პოზიციების გარღვევა, მაგრამ ჩვენი კონტრ შეტევის შემდეგ ისინი უკუქცეული იქმნენ.

მასელკას მიმართულებით ყოველგვარი ცდები მტრის შემოტევისა უკუქცეულია მათთვის დიდი დანაკლისით. პაატენე, ჩვენი ნაწილების მიერ დატოვებულია. ჩვენი და გერმანიის ავიაციის მიერ დაბომბილ იქმნა მტრის საწყობები, სატანკო შენაერთები, არტილერიის და ქვეითა ნაწილების შეჯგუფებანი. იხანტალასთან ფინეთის და გერმანიის საავიაციო შენაერთების და საზენიტო არტილერიის მიერ ჩამოგდებული იქმნა მტრის 35 თვითმრინავი აქედგან 7 ჩამოგდებულ იქმნა აუნუსის ყელთან.

---

„ლეგიონერი“-ს რედაქციის მისამართი:

Georgische Betreuungsstelle
16, rue Eugene Delacroix
Paris (16).

ნებართვა «პა 318».